

რომან ლოლუა

წინადადების ერგატიული კონსტრუქციის საკითხისათვის კავკასიის ალბანურში

კავკასიის ალბანურში, სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მსგავსად, მოგვეპოვება ერგატიული კონსტრუქციის წინადადება. ასეთ წინადადებაში შემასმენელია – გარდამავალი ზმნა, ქვემდებარე გამოსატულია ერგატიული ბრუნვით, პირდაპირი დამატება, უდიურის მსგავსად, შეიძლება იყოს სახელობითში ან მიცემითში, ხოლო ირიბი ობიექტი ყოველთვის მიცემით ბრუნვაშია, მაგ.,

ეჭაჰყე-ადნ ე[ესუსენ პეტროს-ახ უნ დაკობ-ახ უნ დოჰანან-ახ ვინი-ეხ ოდა

წაყვანა–აორ. იესო–ერგ. პეტრე–მიც. და იაკობი–მიც. და იოანე–მიც. ძმა–მიც. მისი

“წაიყვანა (ან “გადაიყვანა”) იესომ პეტრე და იაკობი და იოანე ძმა მისი” (N/Sin 13, 13v-10r; მთ. 17, 1)...

*ბიე-ადნ ?ა ჟან ხიბ ტალავარ. სა ვა, სა მუსედს-ა, სა ელიდა (< *ელიდა-ა; ა+ა=ა)*

კეთება–აორ. ? ჩვენ : ერგ. ხუთი კარავი. ერთი შენ–მიც. ერთი მოსე–მიც. ერთი ელია–მიც.

“გავაკეთოთ აქ? ჩვენ ხუთი კარავი. ერთი შენ, ერთი მოსეს, ერთი ელიას” (N/Sin 13, 13v-10r; მთ. 17, 4)...

*ქრისტოქს-ენ ბუყანაბიე-ად ჰაჭინკ ეკლესი-ახ (< *ეკლესია-ახ; ა+ა=ა)*

ქრისტე–ერგ. შეყვარება–ნამყ. როგორც ეკლესია–მიც.

“როგორც ქრისტემ შეიყვარა ეკლესია” (N/Sin 13, 28r-27v; ეფ. 5, 25)...

სახელობითი ბრუნვის ფორმა არამარკირებულია

ერგატიული ბრუნვის ძირითადი ფორმანტია **–ენ**; ეს ბრუნვა გარდა რეალური სუბიექტის გამოსატვისა, აღჭურვილია ინსტრუმენტალისის ფუნქციით.

მიცემითი ბრუნვის ძირითადი ფორმანტებია **-ა, -ახ, -ეხ** (უკანასკნელი ფორმანტი ფონეტიკური ცვლილების შედეგადაა მიღებული. იგი ძირისეული **ი/ე** შემდეგ გვხვდება).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ კავკასიის ალბანურში ორი (ალექსიძე 2003) ან სამი მიცემითი (შულცე 2005) უნდა გვექონდეს. ამ თვალსაზრისის თანახმად, “II მიცემითის” ფორმანტია **-ახ**. ეს მოსაზრება

შემოწმებას საჭიროებს (ალბანურ-ქართული პალიმფსესტის სრული მასალის გამოქვეყნების შემდეგ). ეჭვს აღძრავს, რომ ზ. ალექსიძე “-ა ფორმანტიან” მიცემითს “ადგილობით” ბრუნვად მიიჩნევს, ხოლო “ძირითადი” მიცემითის ფორმანტად -უნ სუფიქსი აქვს აღნიშნული (ალექსიძე 2003, 152). ორივე შემთხვევაში ეს უმართებულოდ მიგვაჩნია. -ა ფორმანტიანი მიცემითში დასმული სახელი გრძნობა-აქმის აღმნიშვნელ ზმნებთან სუბიექტს, აგრეთვე ირიბ დამატებასაც გამოხატავს და, შესაბამისად, ნამდვილად მიცემით ბრუნვას წარმოადგენს, ხოლო -უნ უეჭველად ნათესაობითი ბრუნვის ერთ-ერთი ფორმანტია (შდრ. უდიური). ვ. შულცე კი მეორე დატივს უდიურ მასალაშიც გამოყოფს, რასაც ასევე არ ვეთანხმებით. უდიურში -ა... ფორმანტიან და -ახ... ფორმანტიან მიცემითს იდენტური ფუნქციები აქვს. ორივე ერთნაირად იხმარება სუბიექტის, პირდაპირი და ირიბი ობიექტების აღსანიშნავად და ლოკატივის მნიშვნელობით. ასევე საყურადღებოა მიცემით-სუბიექტიანი ზმნების -ზახ, -დახ, -ტუხ, -ვახ, -ვახ, -ყოხ პირის ფორმანტების ჩვენებაც, რაც გვაფიქრებინებს, რომ ისტორიულადაც უდიურში ერთი მიცემითი უნდა გვექონოდა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ ხელთ არსებულ კავკასიის ალბანურ მასალაში (არ აღემატება 1000 სიტყვას), -ახ/-ეხ ფორმანტიანი მიცემითი ყოველთვის პირდაპირ ობიექტად გვევლინება, ხოლო -ა ფორმანტიანი მიცემითი ირიბ ობიექტს, სუბიექტს “verba sentiendi” ზმნებთან აღნიშნავს და, აგრეთვე, ლოკატივის მნიშვნელობითაც იხმარება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, უდიურ და კავკასიის ალბანურ ენებში, პირდაპირი ობიექტი სახელობითი და მიცემითი ბრუნვაში დასმული სახელით გამოიხატება. უდიურში პირდაპირი დამატება სახელობითისა და მიცემითის ფორმებით ფაკულტატურადაა გადმოცემული და ეს არ არის დაკავშირებული რაიმე კანონზომიერებასთან (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა პირდაპირი დამატება წინ უძღვის შემასმენელს). კავკასიის ალბანურში კი, პირდაპირი ობიექტისათვის ამ ბრუნვათა ფაკულტატური ხმარების შემთხვევები ვერ დაგადასტურეთ. შეინიშნება ერთგვარი კანონზომიერება: იმ მცირე ამოკითხული მასალის ფარგლებში, პირდაპირი ობიექტის ფუნქციით ყველა “მიცემითში” დასმული სახელი პირია (აღამიანი), ხოლო სახელობითში დასმული – ნივთი.

Роман Лолуа

К вопросу эргативной конструкции предложения в кавказско-албанском языке

В кавказско-албанском, как и в других иберийско-кавказских языках, представлена эргативная конструкция предложения. В таком предложении сказуемое – переходный глагол, подлежащее выражено эргативным падежом, прямое дополнение, как и в удийском, может стоять в именительном или дательном падежах, а косвенное дополнение всегда в дательном падеже, напр.:

eçahëq-ajn j[esu]s-en peṭros-ax un jaḳob-ax un johanan-ax viçi-ex oja

повести-аор. иисус-эрг. петр-дат. и яков-дат. и иоанн-дат. брат-дат. он : притяж.

«Повел (или перевел) Иисус Петра и Якова и Иоанна, брата его» (N/Sin 13, 13v-10r; Мтф. 17, 1)

*bij-ajn ?a žan xib ṭalavar. sa va sa musejs-a sa elija (< *elija-a; a+a=a)*

делать-аор. ? мы-эрг. пять куша один ты-дат. один моисей-дат. один илия-дат.

«Сделаем здесь? мы пять куш. Одну тебе, одну Моисею, одну Илие» (N/Sin 13, 13v-10r; Мтф. 17, 4)...

*k[risto]s-en buḡanabij-aj haçinḳ eḳles-iax (< *eḳlesia-ax; a+a=a)*

христос-эрг. полюбить-пр. как и церковь-дат.

«Как и Христос полюбил Церковь» (N/Sin 13, 28r-27v; Эф. 5, 25)

Именительный падеж немаркированный.

Эргативный падеж (основной формант **-en**), кроме функции обозначения реального субъекта, выступает в качестве инструменталиса.

Дательный падеж – основные форманты **-a**, **-ax**, **-ex** (последний получен в результате фонетических изменений: встречается после **i/j** основы).

В научной литературе было высказано предположение, что в кавказско-албанском должно быть два (Алексидзе 2003) или три (Шульце 2005) дательных падежа. Согласно этому мнению, формант «дательного II» **-ax**. Это мнение нуждается в проверке (после опубликования полного текста албано-грузинского палимпсеста). Вызывает сомнение то, что, согласно З.Н. Алексидзе, суффикс «основного» дательного падежа – **-un** и, наоборот, форму, обозначенную формантом **-a**, он принимает за локатив (Алексидзе 2003: 152). Нужно отметить, что не представляется возможным согласиться с этими предположениями:

маркированная суффиксом **-a** форма употреблена для обозначения субъекта с глаголами чувственного восприятия, выражает косвенный объект и, соответственно, представляет собой дательный падеж, а **-un**, безо всяких сомнений, является одним из формантов родительного падежа (срвн. удийский). В. Шульце, в свою очередь, «дательный II» выделяет и в удийском материале (Шульце 2005...), с чем также нельзя согласиться. В удийском формы дательного падежа, маркированные формантами **-a...** и **-ax...**, имеют идентичные функции: обе употребляются для обозначения субъекта, прямого и косвенного объектов, а также в качестве локатива. Особо важными представляются формы личных формантов в глаголах «*verba sentiendi*» – **-zah**, **-jax**, **-ṭux**, **-vax**, **-vaʷx**, **-qox**, которые дают основание полагать, что и исторически удийскому был присущ один дательный падеж, хотя, нужно отметить, что в имеющемся у нас кавказско-албанском материале (не превышает 1000 слов) форма, маркированная формантом **-ax/-ex**, всегда выражает прямое дополнение, а форма дательного, маркированный суффиксом **-a**, употребляется как косвенное дополнение, как субъект предложения «дательной» конструкции и с локативным значением.

Как отмечено выше, прямое дополнение в кавказско-албанском и удийском языках выражено именительным и дательным падежами. Если в удийском прямое дополнение факультативно выражено формами этих падежей и это не связано с какой-либо закономерностью (за исключением тех случаев, когда прямой объект находится в препозиции к сказуемому), то в кавказско-албанском случаи факультативного употребления именительного и дательного падежей для прямого объекта не засвидетельствованы. Видна некая закономерность: в пределах незначительного дешифрованного материала все имена в функции прямого дополнения и в форме «дательного» принадлежат к классу человека, тогда как, прямое дополнение в форме номинатива – к классу вещей.